დამკვირვებლის უფლება-მოვალეობები

1. დამკვირვებელი ვალდებულია გამოცდის ჩატარების ადგილას გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) წუთით ადრე.
2. მას შემდეგ რაც სტუდენტები დაიკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს, დამკვირვებელი სტუდენტებს აცნობს უფლება-მოვალეობებს.
3. დამკვირვებელი ამოწმებს სტუდენტის იდენტობის დადგენის მიზნით პირადობის მოწმობას (ასლს დამოწმებულს ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით და ბეჭდით), სტუდენტთა თვალწინ ხსნის დალუქულ კონვერტს, არიგებს საგამოცდო ფურცლებს და ავსებინებს მის თავფურცელს.
4. დასკვნითი, განმეორებითი, დავალიანებული სასწავლო კურსის გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 2 (ორი) საათი, ხოლო შუალედური გამოცდის ხანგრძლივობა არ აღემატება 2 (ორი) აკადემიურ საათს (თუ ლექტორის მოთხოვნით სხვა დრო არ არის მითითებული ბილეთზე).
5. დამკვირვებელი ვალდებულია დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას მისთვის განსაზღვრულ/განკუთვნილ ტერიტორიაზე. მკაცრად აკონტროლოს საგამოცდო პროცესი. გამოცდისთვის განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში მოხსნას იგი გამოცდიდან.
6. სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში, დამკვირვებელი ჩამოართმევს სტუდენტს საგამოცდო ფურცლებს. საგამოცდო ფურცელზე აკეთებს წარწერას – ,,მოხსნილია გამოცდიდან" მიზეზის მითითებით, აფიქსირებს სტუდენტის გამოცდიდან მოხსნას საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების უწყისშიც და აწერს ხელს.
7. დამკვირვებელს ეკრძალება მისთვის განსაზღვრული/განკუთვნილი ტერიტორიის უმეთვალყურეოდ დატოვება, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში იძახებს საგამოცდო სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელს.
8. დამკვირვებელი ვალდებულია გასცეს პასუხი სტუდენტის მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს. მას საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხის გაცემა ეკრძალება.
9. გამოცდის მიმდინარეობის პროცესში რაიმე პრობლემის არსებობის შემთხვევაში დამკვირვებელი ვალდებულია მიმართოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომელს.
10. საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 (თხუთმეტი) წუთით ადრე ლექტორი/დამკვირვებელი ატყობინებს სტუდენტებს ამის შესახებ.

11. დამკვირვებელი ყველა ნაწერის ჩაბარების შემდეგ თვითონაც აფიქსირებს საკუთარ ხელმოწერას საგამოცდო ფურცელზე, უთითებს შესრულებული ნაშრომების რაოდენობას საგამოცდო უწყისში.

12. დამკვირვებელი საგამოცდო ნაშრომებს, საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების უწყისს გადასცემს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელს.

13. წინამდებარე წესების დარღვევის შემთხვევაში დამკვირვებელს შეუწყდება შრომითი ხელშეკრულება.